

## საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია

*[ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის (ECTS) შესაბამისად]*

### 1. ზოგადი დებულებანი.

1.1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (შემდგომში – სტუ) ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას:

- I. ბაკალავრიატი;
- II. მაგისტრატურა;
- III. დოქტორანტურა.

1.2. I საფეხურის – ბაკალავრიატის ფარგლებში ხორციელდება მისი ქვესაფეხურის – დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო (პროფესიული უმაღლესი განათლების) პროგრამა (მიღევად რეჟიმში 2011-2012 სასწავლო წლიდან).

1.3. სწავლების პირველი წლის პირველ სემესტრში ჩარიცხული სტუდენტებისათვის, დადგენილია კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამების დასრულების შემდეგი საანგარიშო (გეგმური) ვადები (სტუდენტის სტატუსის შეჩერების ხანგრძლივობის გარეშე, ანუ სწავლის ფაქტობრივი დრო):

- დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო (პროფესიული უმაღლესი განათლების) პროგრამაზე – 2,5 წელი (5 სემესტრი);
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე – 4 წელი (8 სემესტრი);
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე – 2 წელი (4 სემესტრი);
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე – 3 წელი (6 სემესტრი).

სტუ-ში, მობილობის ან აღდგენის წესით ჩარიცხული, აგრეთვე შიდა მობილობის წესით გადაყვანილი სტუდენტებისათვის, საგანმანათლებლო პროგრამების დასასრულებლად დარჩენილი ვადები და უნივერსიტეტთან წარმოქმნილი ყველა ფინანსური ვალდებულება იგივეა, რაც სწავლების იმავე საფეხურისა და წლის/სპეციალობის სტუდენტებისათვის, რომელზეც მოხდა მათი ჩარიცხვა. (27.05.2010 №256)

1.4. საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტის მიერ დასრულებულად (ათვისებულად) ითვლება, თუ იგი 1.3 და 5.7 პუნქტებით მითითებულ ვადებში დააგროვებს:

- დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო (პროფესიული უმაღლესი განათლების) პროგრამაზე – არანაკლებ 150 კრედიტს;
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე – არანაკლებ 240 კრედიტს;
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე – არანაკლებ 120 კრედიტს (მოიცავს საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვას);
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე – არანაკლებ 180 კრედიტს (მოიცავს დისერტაციის დაცვას). (21.05.2013 №926)

1.5. საგანმანათლებლო პროგრამის დამთავრების შემდეგ სტუდენტს ენიჭება შემდეგი კვალიფიკაცია:

- დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო (პროფესიული უმაღლესი განათლების) პროგრამის შემდეგ – დიპლომირებული სპეციალისტი;
- ბაკალავრიატის შემდეგ – ბაკალავრის აკადემიური ხარისხი (ბაკალავრი);
- მაგისტრატურის შემდეგ – მაგისტრის აკადემიური ხარისხი (მაგისტრი);
- დოქტორანტურის შემდეგ – დოქტორის აკადემიური ხარისხი (აკადემიური დოქტორი).

საგანმანათლებლო პროგრამის დამთავრების შემდეგ გაიცემა შესაბამისი დიპლომი დანართით.

1.6. სწავლება არის სემესტრული; სასწავლო წელი მოიცავს ორ სემესტრს. ერთი სემესტრის განმავლობაში 15 კვირა სასწავლოა (სააუდიტორიო მეცადინეობების) და 4 – სასესიო (დასკვნითი და დამატებითი გამოცდების). (27.05.2010 №256) (ამოღებულია, 26.03.2018 №01-05-04/89)

1.7. სემესტრის განმავლობაში ტარდება 2 შუალედური გამოცდა (ტესტირება) (27.05.2010 №256) (ამოღებულია 2018-2019 სასწავლო წლიდან, 26.03.2018 №01-05-04/89)

- 1.8. სწავლება წარიმართება მეცადინეობის ისეთი ფორმების საშუალებით, როგორცაა: ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, სემინარი, ლაბორატორიული სამუშაო, პრაქტიკა, საკურსო პროექტი/სამუშაო და სხვ. (ამოღებულია 2018-2019 სასწავლო წლიდან, 26.03.2018 №01-05-04/89)
- 1.9. თითოეული სასწავლო კურსი (საგანი), მისი თავისებურებებიდან გამომდინარე, შეიძლება ითვალისწინებდეს სწავლების ზემოჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე ფორმას. (ამოღებულია 2018-2019 სასწავლო წლიდან, 26.03.2018 №01-05-04/89)
- 1.10. სასწავლო პრაქტიკა, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება ჩატარდეს როგორც სასწავლო კვირებში, ისე სხვა დროს. (ამოღებულია, 26.03.2018 №01-05-04/89)

## 2. სასწავლო პროცესის ორგანიზება.

- 2.1. ფაკულტეტზე სასწავლო პროცესის ორგანიზებას ახორციელებენ დეკანატი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, აკადემიური დეპარტამენტები.
- 2.2. პროფესორი/მასწავლებელი (შემდგომში პროფესორი) ვალდებულია სწავლება და სტუდენტთა მიღწევების შეფასება განახორციელოს აკრედიტებული/ავტორიზებული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსის მოთხოვნების დაცვით. (26.03.2018 №01-05-04/89)
- 2.3. სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტი, სწავლების დეპარტამენტი და დეკანატები ვალდებული არიან აწარმოონ სწავლებისა და სტუდენტთა მიღწევების შეფასების მუდმივი მონიტორინგი. (26.03.2018 №01-05-04/89)

## 2<sup>1</sup>. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების არჩევის წესი (26.03.2018 №01-05-04/89)

- 2<sup>1</sup>.1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა უნდა უზრუნველყოფდეს სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის თავისუფალი/არასავალდებულო კომპონენტების ფარგლებში არჩევითობას.
- 2<sup>1</sup>.2. თავისუფალი/არასავალდებულო კომპონენტი არის საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული არჩევითი სასწავლო კურსი/საგანი, რომლის სწავლის შედეგი არ განსაზღვრავს მისიანიჭებელ კვალიფიკაციას. თავისუფალ კომპონენტს არ უნდა ჰქონდეს დაშვების წინაპირობა.
- 2<sup>1</sup>.3. უნივერსიტეტი უფლებამოსილია დაადგინოს სპეციალური შეზღუდვები რეგულირებად პროგრამებთან მიმართებით.
- 2<sup>1</sup>.4. საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლებელია იყოს არჩევითი საგნების ბლოკი. აღნიშნული საგნების არჩევის დროს მიზანშეწონილია, სტუდენტმა გაითვალისწინოს თავისი მომავალი პროფილი – შეარჩიოს ისეთი საგნები, რომლებიც ხელს შეუწყობს სასურველი სასწავლო კურსების, მათ შორის, თავისუფალი კომპონენტების გავლას.
- 2<sup>1</sup>.5. განაცხადი არჩევითი, მათ შორის, თავისუფალი კომპონენტის არჩევის შესახებ სტუდენტმა უნდა გააკეთოს დადგენილ ვადაში.
- 2<sup>1</sup>.6. ცალკეული სასწავლო კურსის/საგნის სწავლება, როგორც წესი, დასაშვებია არანაკლებ 15 მსურველი სტუდენტის შემთხვევაში. მსურველთა რაოდენობისა და არსებული რესურსების გათვალისწინებით შესაძლებელია შეიქმნას რამდენიმე ჯგუფი.
- 2<sup>1</sup>.7. როგორც თავისუფალი კომპონენტების, ისე საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული, პროფესიასთან დაკავშირებული არჩევითი მოდულების/კონცენტრაციების, აგრეთვე

მათში შემავალი არჩევითი სასწავლო კურსების არჩევის პროცესი უნდა იყოს გამჭვირვალე; ამასთან, სტუდენტის მიერ საკუთარი პროფილის განსაზღვრის მიზნით უზრუნველყოფილი უნდა იყოს მისთვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება, კონსულტაციისა და დახმარების გაწევა.

- 2<sup>1</sup>.8. ფაკულტეტის დეკანატში უნდა იყოს პირი, რომელიც კვალიფიციურ დახმარებას გაუწევს სტუდენტებს პროფილის განსაზღვრასთან დაკავშირებით.
- 2<sup>1</sup>.9. სამაგისტრო და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი ასევე უნდა უზრუნველყოფდეს თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში არჩევითობას.

### 3. სტუდენტთა მიღწევების შეფასება.

- 3.1. სტუ-ს სტუდენტის მიერ კრედიტების მიღება/დაგროვება შესაძლებელია მხოლოდ მის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ამ მუხლის 3.3 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით. (ამოღებულია, 26.03.2018 №01-05-04/89)
- 3.2. თითოეულ სასწავლო კურსში სტუდენტის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. (ამოღებულია, 26.03.2018 №01-05-04/89)
- 3.3. სტუ-ში მიღებულია სტუდენტთა მიღწევების შეფასების შემდეგი სისტემა:
  - ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:
    - ფრიადი – 91-100 ქულა;
    - ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
    - კარგი – 71-80 ქულა;
    - დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
    - საკმარისი – 51-60 ქულა.
  - ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:
    - (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობის შემდეგ დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
    - (F) ჩაიჭრა – 0-40 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ხელახლა აქვს შესასწავლი. (ამოღებულია, 26.03.2018 №01-05-04/89)
- 3.4. 3.3 პუნქტით გათვალისწინებული სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება მთელი სასწავლო წლის/სემესტრის განმავლობაში 15 ყოველკვირეული შეფასების (პროფესიული უმაღლესი, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა – სასწავლო კურსები), ორი შუალედური გამოცდის (ტესტირების) და დასკვნითი გამოცდის შეფასებების დაჯამების საფუძველზე. (ამოღებულია 2018-2019 სასწავლო წლიდან, 26.03.2018 №01-05-04/89)
- 3.5. თითოეულ სასწავლო კურსში სტუდენტის ყოველკვირეული შეფასება (პროფესიული უმაღლესი, ბაკალავრიატი და მაგისტრატურა) უნდა მოიცავდეს მოცემული სასწავლო კურსის ყველა მეცადინეობის მიხედვით სწავლის შედეგების შეფასებების ჯამს. ლექციაზე სტუდენტთა შეფასება არ ხდება. (21.05.2013 №926) (ამოღებულია 2018-2019 სასწავლო წლიდან, 26.03.2018 №01-05-04/89)
- 3.6. მეცადინეობებზე აქტიურობის შეფასებები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა შეიცავდეს შემდეგ კომპონენტებს:
  - ახალი ამოცანის განხილვასა და ამოხსნაში მონაწილეობა;
  - სასემინარო თემის პრეზენტაცია;
  - პრობლემის განხილვასა და დისკუსიაში მონაწილეობა;
  - ლაბორატორიული სამუშაოს ჩატარება და სხვ. (ამოღებულია 2018-2019 სასწავლო წლიდან, 26.03.2018 №01-05-04/89)

- 3.7. შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდები ტარდება წერილობითი ფორმით საუნივერსიტეტო ტესტირების ცენტრის მეშვეობით. სტუდენტთა მიღწევების ელექტრონული ტესტირებით შეფასების სისტემაზე სრულად გადასვლამდე, აღნიშნულ გამოცდებს შეიძლება ჰქონდეს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმე ერთი ან რამდენიმე ფორმა:
- ბაკალავრიატის სასწავლო კურსებში შერჩევით, სათანადო ტექნიკური უზრუნველყოფის კვალობაზე – ელექტრონული ტესტების ამოხსნა;
  - ყველა სხვა შემთხვევაში:
  - ტესტების ამოხსნა;
  - საკონტროლო წერა;
  - საკურსო სამუშაოს/პროექტის ფრაგმენტის შესრულება და სხვ. (01.06.20112 №677) (ამოღებულია 2018-2019 სასწავლო წლიდან, 26.03.2018 №01-05-04/89)
- 3.8. დასკვნითი გამოცდის ქულათა მაქსიმალური რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს 40-ს. დანარჩენი ქულები ნაწილდება ყოველკვირეულ შეფასებებსა და შუალედურ ტესტირებებზე 3.9 და 3.10 პუნქტების მიხედვით. (01.06.20112 №677) (ამოღებულია, 26.03.2018 №01-05-04/89)
- 3.9. თითოეული სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) ავტორმა (ავტორებმა) მასში დეტალურად უნდა აღწეროს შეფასების სისტემა. (01.06.20112 №677) (ამოღებულია 2018-2019 სასწავლო წლიდან, 26.03.2018 №01-05-04/89)
- 3.10. შუალედური შეფასებების (ყოველკვირეული შეფასებები, შუალედური ტესტირებები) ქულების მაქსიმალური რაოდენობა, აგრეთვე შუალედური ტესტირებების პერიოდები განისაზღვრება რექტორის ბრძანებით სასწავლო სემესტრის ჩატარების შესახებ. (ამოღებულია 2018-2019 სასწავლო წლიდან, 26.03.2018 №01-05-04/89)
- 3.11. დასკვნით გამოცდაზე გასვლის ნება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 და მეტი ქულა, ამასთან შესრულებული აქვს სილაბუსით განსაზღვრული სამუშაოების მინიმუმი (ლაბორატორიული/პრაქტიკული/საკურსო და ა.შ.). (ამოღებულია 2018-2019 სასწავლო წლიდან, 26.03.2018 №01-05-04/89)
- 3.12. სტუდენტს უფლება აქვს ერთი სემესტრის განმავლობაში ყოველ სასწავლო კურსში:
- თითოეულ შუალედურ ტესტირებაზე გავიდეს, როგორც წესი, მხოლოდ ერთხელ, დადგენილ დროს;
  - სასესიო კვირების განმავლობაში დასკვნით გამოცდაზე გავიდეს მხოლოდ ერთხელ, დადგენილ დროს. (27.05.2010 №256) (ამოღებულია 2018-2019 სასწავლო წლიდან, 26.03.2018 №01-05-04/89)
- 3.13. საბოლოო დადებითი შეფასების გაფორმების მიზნით სტუდენტი ვალდებულია გავიდეს დასკვნით გამოცდაზე (შესაბამისი უფლების არსებობისას – დამატებით გამოცდაზე); პროფესიული უმაღლესი განათლებისა და ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის დასკვნითი/დამატებითი გამოცდის მინიმალური დადებითი შეფასებაა მაქსიმალური შეფასების მეოთხედი, ხოლო მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისათვის – მაქსიმალური შეფასების ნახევარი; (18.09.2015 №1698) (ამოღებულია 2018-2019 სასწავლო წლიდან, 26.03.2018 №01-05-04/89)
- 3.14. თუ დასკვნით გამოცდაზე დაშვებულმა სტუდენტმა შუალედური შეფასებებისა და დასკვნით გამოცდაზე მიღებული შეფასების ჯამში დააგროვა 41-50 ქულა (შეფასება FX), მას ეძლევა უფლება იმავე სემესტრის სასესიო კვირებში ერთხელ გავიდეს დამატებით გამოცდაზე, ხოლო დასკვნით ან/და დამატებით გამოცდებზე დოკუმენტურად დასაბუთებული საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას სტუდენტს, სწავლების დეპარტამენტის წარდგინებით და რექტორის თანხმობით, შეიძლება მიეცეს გამოცდებზე გასვლის უფლება მომდევნო სემესტრის დაწყებამდე; (24.02.2012 № 607) (ძალაში შევიდეს 2012-2013 სასწავლო წლის დასაწყისიდან) (ამოღებულია 2018-2019 სასწავლო წლიდან, 26.03.2018 №01-05-04/89)

- 3.15. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა. (ამოღებულია, 26.03.2018 №01-05-04/89)
- 3.16. თუ სტუდენტმა შუალედური შეფასებების და დასკვნით გამოცდაზე მიღებული შეფასების ჯამში დააგროვა 40 და ნაკლები ქულა (შეფასება F – ჩაიჭრა), აგრეთვე 3.14 პუნქტით გათვალისწინებულ დამატებითი გამოცდის შედეგად დააგროვა 51 ქულაზე ნაკლები (შეფასება FX ან F), მას საგანი ხელახლა აქვს შესასწავლი. (ამოღებულია 2018-2019 სასწავლო წლიდან, 26.03.2018 №01-05-04/89)
- 3.17. დეკანატი ვალდებულია სასწავლო სემესტრის დაწყებამდე 3 კვირით ადრე, მეცადინეობების ცხრილთან ერთად, შეადგინოს ტესტირების კვირებში ჩასატარებელი შუალედური გამოცდების (ტესტირებების) ცხრილი დღეების, საათების და აუდიტორიების მითითებით. (ამოღებულია 2018-2019 სასწავლო წლიდან, 26.03.2018 №01-05-04/89)
- 3.18. დეკანატი ვალდებულია საგამოცდო სესიის დაწყებამდე სამი კვირით ადრე, სასწავლო კურსების წამყვან პროფესორებთან შეთანხმებით, შეადგინოს დასკვნითი და დამატებითი გამოცდების ცხრილი დღეების, საათების და აუდიტორიების მითითებით. (ამოღებულია 2018-2019 სასწავლო წლიდან, 26.03.2018 №01-05-04/89)
- 3.19. გაუქმებულია. (01.06.2012 №677)

**მუხლი 3<sup>1</sup>. სასწავლო კვირა/სემესტრი/წელი** (24.02.2016 №1941) *(ამოქმედდეს 2016 წლის 1 სექტემბრიდან).*

- 3<sup>1</sup>.1. სასწავლო კვირა არის დროის პერიოდი, რომელზეც ნაწილდება საშუალო აკადემიური მიღწევის მქონე სტუდენტის სასწავლო დატვირთვა და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ დროში შესასრულებელი აქტივობების ერთობლიობას. (26.03.2018 №01-05-04/89)
- 3<sup>1</sup>.2. სემესტრი არის დროის პერიოდი, რომელიც მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდის/გამოცდების ჩატარებისა და დამატებით გამოცდაზე/გამოცდებზე სტუდენტის მიღწევის შეფასების პერიოდს. სტუ-ში ერთი სემესტრის განმავლობაში 15 კვირა სასწავლოა (სააუდიტორიო მეცადინეობების) და 3 – სასესიო (დასკვნითი და დამატებითი გამოცდების). სასწავლო პრაქტიკა, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება ჩატარდეს როგორც სასწავლო კვირებში, ისე სხვა დროს. კონკრეტული სემესტრის ჩატარების ვადები განისაზღვრება რექტორის ბრძანებით სასწავლო სემესტრის განრიგის შესახებ. (26.03.2018 №01-05-04/89)
- 3<sup>1</sup>.3. აკადემიური წელი არის სემესტრების ერთობლიობა და მათ შორის დასვენების პერიოდი, რაც არ აღემატება 12 უწყვეტ კალენდარულ თვეს. კონკრეტული სემესტრის ხანგრძლივობა დგინდება რექტორის ბრძანებით მოცემული სემესტრის სასწავლო განრიგის შესახებ.
- 3<sup>1</sup>.4. ერთი აკადემიური წელი მოიცავს 60 (ECTS) კრედიტს. (26.03.2018 №01-05-04/89)
- 3<sup>1</sup>.5. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს. კრედიტს. სტუ-ში ერთი კრედიტი (ECTS) უტოლდება სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25 საათის განმავლობაში და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ საათებს. (27.12.2017 №2691) *(ძალაში შევიდეს 2018-2019 სასწავლო წლიდან).*
- 3<sup>1</sup>.6. სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად, მისი სურვილით, შეიძლება შედგეს ინდივიდუალური პროგრამა. სტუდენტს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს მისთვის აღნიშნული პროგრამის შედგენაში. (26.03.2018 №01-05-04/89)

3<sup>1</sup>.7. ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამებზე შესაძლებელია გადაყვანილ იქნენ ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებით, აგრეთვე დოქტორანტურაში ჩარიცხული შემდეგი კატეგორიის სტუდენტები:

- ა) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე;
- ბ) ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ან ფეხმძიმე ან მცირეწლოვანი ბავშვის დედა;
- გ) საქართველოს სახელით ოლიმპიური თამაშების, მსოფლიო, ევროპის ჩემპიონატის და სხვა საერთაშორისო შეჯიბრებების მონაწილე;
- დ) სტუ-ს ნაკრების წევრი;
- ე) სტუ-ს შემოქმედებით და სახელოვნებო წრეში (თეატრი, კაპელა, ქორეოგრაფიული ანსამბლი, კვარტეტი და ა.შ.) გაერთიანებული სტუდენტი, რეკომენდებული სოციალურ საკითხთა, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტის მიერ;
- ვ) თბილისში განლაგებულ დაწესებულებაში, როგორც წესი, პროფილით/სპეციალობით და სხვა სტრუქტურაში (მუნიციპალიტეტებში, სამინისტროებში და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში) დასაქმებული (გარდა სახელმწიფოს მიერ 100%-ით დაფინანსებული პროგრამების სტუდენტისა), სტუ-ს რეკომენდაციით სტაჟირებაზე მყოფი;
- ზ) სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) და ფაკულტეტების საბჭოს წევრი სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელი;
- თ) სტუდენტი, რომლის საგანმანათლებლო პროგრამა შეიცვალა. (26.03.2018 №01-05-04/89)

3<sup>1</sup>.8. ფაკულტეტის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე, როგორც გამონაკლისი, აკადემიური საბჭოს დადგენილებით პერსონალურად შესაძლებელია სხვა კატეგორიის სტუდენტის გადაყვანა ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამაზე. (26.03.2018 №01-05-04/89)

3<sup>1</sup>.9. სტუდენტმა განცხადება და სათანადო დოკუმენტაცია (ჯანმრთელობის ცნობა - ფორმა №100, მოწმობა, სერტიფიკატი, შესაბამისი ფედერაციის/კლუბის/სტუდიის უფლებამოსილი პირის შუამდგომლობა და ა.შ.; დასაქმებულმა – სამსახურის ცნობა და სახელფასო ამონაწერი ბანკიდან) ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადაყვანის თაობაზე უნდა წარმოადგინოს სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ორი თვის ვადაში. განცხადება გადაეცემა ფაკულტეტის დეკანს, რომელიც უზრუნველყოფს მის განხილვას ფაკულტეტის საბჭოზე; დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი გადაეცემა უნივერსიტეტის მონიტორინგისა და სწავლების დეპარტამენტებს აკადემიურ საბჭოზე გასატანად. (26.03.2018 №01-05-04/89)

3<sup>1</sup>.10. ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადაყვანილი სტუდენტის სწავლის დასრულების ვადა შეიძლება განსხვავდებოდეს 1.3 პუნქტში მითითებული ვადისაგან არაუმეტეს 1 სემესტრით. (26.03.2018 №01-05-04/89)

3<sup>1</sup>.11. ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს არსებული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტების დაგროვებასა და სწავლის შედეგების მიღწევას; (26.03.2018 №01-05-04/89)

3<sup>1</sup>.12. ფაკულტეტის დეკანმა უნდა უზრუნველყოს ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადაყვანილი სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩართვა. (26.03.2018 №01-05-04/89)

### **მუხლი 3<sup>2</sup>. სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის რეჟიმი**

3<sup>2</sup>.1. სტუ უფლებამოსილია, საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განახორციელოს სწავლება-სწავლის პროცესი არასრული დატვირთვით. (24.02.2016 №1941) (ამოქმედდეს 2016 წლის 1 სექტემბრიდან).

3<sup>2</sup>.2. სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის რეჟიმი ნიშნავს სტუდენტის სასწავლო დატვირთვის კვირაში დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების ჯამური მოცულობით არაუმეტეს 25 საათისა. (07.10.2016 №2152) (ამოქმედდეს 2016-2017 სასწავლო წლიდან)

3<sup>2</sup>.3. სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის განსაზღვრისას ერთი აკადემიური წელი მოიცავს საშუალოდ 30 (ECTS) კრედიტს. (24.02.2016 №1941) (ამოქმედდეს 2016 წლის 1 სექტემბრიდან).

**მუხლი 3<sup>3</sup>. სტუდენტის შეფასება** (24.02.2016 №1941) (ამოქმედდეს 2016 წლის 1 სექტემბრიდან).

3<sup>3</sup>.1. სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში უნდა მოიცავდეს შუალედურ და დასკვნით შეფასებას.

3<sup>3</sup>.2. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი (შესაძლებელია, გამოსახული იყოს პროცენტებში) საბოლოო შეფასებაში. აღნიშნული ხვედრითი წილი განისაზღვრება რექტორის ბრძანებით სასწავლო სემესტრის განრიგის შესახებ.

3<sup>3</sup>.2. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში. კერძოდ, შუალედური შეფასების მაქსიმუმალური ქულაა არაუმეტეს 60, ხოლო დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულა – არანაკლებ 40. (26.03.2018 №01-05-04/89) (მალაში შევიდეს 2018-2019 სასწავლო წლიდან).

3<sup>3</sup>.3. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

3<sup>3</sup>.4. შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით.

3<sup>3</sup>.5. შეფასების კომპონენტი, მეთოდი და კრიტერიუმი ადეკვატური უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტით განსაზღვრული და მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებისთვის.

3<sup>3</sup>.5<sup>1</sup>. შუალედური შეფასების რეკომენდებული კომპონენტებია:

- შუასემესტრული გამოცდა;
- მიმდინარე აქტივობის შეფასება:
  - ტესტირება ღია ან დახურული კითხვებით;
  - პრაქტიკული/თეორიული საშინაო დავალების შესრულება;
  - თემატური პროექტი;
  - საკურსო სამუშაო/საკურსო პროექტი;
  - წერითი ან/და ზეპირი გამოკითხვა;
  - ლაბორატორიაზე აქტივობა;
  - სემინარზე აქტივობა;
  - დისკუსიაში მონაწილეობა;
  - იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა;
  - კაზუსის ამოხსნა;
  - ქეისი;
  - კლაუზურა და სხვ.

სემესტრის განმავლობაში რეკომენდებულია ჩატარდეს ერთი შუასემესტრული გამოცდა. მიმდინარე აქტივობის მეთოდებიდან, სწავლების საფეხურისა და სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, რეკომენდირებულია არანაკლებ 2-ის (ნებისმიერი) გამოყენება. შუასემესტრული გამოცდების და მიმდინარე შეფასების მეთოდების რაოდენობა, მათი ჩატარების ფორმა, შინაარსი, მაქსიმალური ქულა, კრიტერიუმები და სკალები დგინდება სილაბუსის ავტორის მიერ და აღიწერება სილაბუსში, საგნის

სპეციფიკიდან გამომდინარე. (26.03.2018 №01-05-04/89) (ძალაში შევიდეს 2018-2019 სასწავლო წლიდან).

3<sup>3</sup>.6. შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრული უნდა იყოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია შეფასების კომპონენტშიც განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რაც მითითებული იქნება რექტორის ბრძანებაში სასწავლო სემესტრის განრიგის შესახებ. (07.10.2016 №2152) (ამოქმედდეს 2016-2017 სასწავლო წლიდან)

3<sup>3</sup>.6. შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური დადებითი ქულა, როგორც წესი, ბაკალავრიატში შეადგენს მაქსიმალური შეფასების 25%-ს, ხოლო მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში – მაქსიმალური შეფასების 50%-ს.

შუასემესტრული გამოცდის მაქსიმალური ქულაა 30. ბაკალავრიატში მინიმალური დადებითი შეფასებაა 7,5 ქულა, ხოლო მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში 15 ქულა.

მიმდინარე აქტივობის მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური ჯამური დადებითი შეფასება - 15 ქულა.

სემესტრში სასწავლო კურსში (საგანში) 1 თემატური პროექტის არსებობისას მისი შეფასების მაქსიმალური ქულაა 15; 2 თემატური პროექტის არსებობისას პირველი თემატური პროექტის შეფასების მაქსიმალური ქულაა 5, ხოლო მეორე თემატური პროექტის შეფასების მაქსიმალური ქულა – 10.

სასწავლო კურსში 1 თემატური პროექტის არსებობისას იგი ჩაბარდება სააუდიტორიო მეცადინეობების დამთავრების შემდეგ, სესიებამდე ერთი კვირის განმავლობაში; 2 თემატური პროექტის არსებობისას პირველი თემატური პროექტი ჩაბარდება შუასემესტრული ტესტირებისათვის გამოყოფილ კვირაში, ხოლო მეორე – სესიებამდე ერთი კვირის განმავლობაში.

საკურსო სამუშაოს/საკურსო პროექტის შეფასების მაქსიმალური ქულაა 15.

სილაბუსში მითითებული უნდა იყოს, თუ შუალედური შეფასების რომელ კომპონენტში მოეთხოვება სტუდენტს დოკუმენტური მასალის (ლაბორატორიული/ პრაქტიკული/ ნახაზი/ ნახატი/ თემატური პროექტი/ პროექტები/ საკურსო სამუშაო/ საკურსო პროექტი/ პრაქტიკის ანგარიში და ა.შ.) ჩაბარება.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც შუალედური შეფასების კომპონენტებში დააგროვა არანაკლებ მინიმალური დადებითი შეფასებისა, ამასთან შეასრულა და დროულად ჩააბარა პროგრამით განსაზღვრული სამუშაოების მინიმუმი დოკუმენტური მასალის სახით. დოკუმენტური მასალის ჩაბარების ვადების შესახებ მითითებული იქნება რექტორის ბრძანებაში სემესტრის ჩატარების განრიგის შესახებ. (26.03.2018 №01-05-04/89) (ძალაში შევიდეს 2018-2019 სასწავლო წლიდან).

3<sup>3</sup>.7. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება უნდა დასრულდეს იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა.

3<sup>3</sup>.8. დისერტაცია, სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევარი ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. დისერტაცია, სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევარი ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს შედეგის შეფასებისთვის რელევანტური მეთოდი/მეთოდები და კრიტერიუმები.

3<sup>3</sup>.9. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;



ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

- 3<sup>3</sup>.10. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში სტუდენტს ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ. (26.03.2018 №01-05-04/89)
- 3<sup>3</sup>.11. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
- 3<sup>3</sup>.12. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
- 3<sup>3</sup>.13. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, ან თუ სტუდენტი ვერ გადალახავს დასკვნით/დამატებით გამოცდაზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.
- 3<sup>3</sup>.14. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის/კომპონენტების კრედიტების ჯამური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 60 კრედიტს.
- 3<sup>3</sup>.15. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი/ კომპონენტები უნდა შეფასდეს ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული სისტემით.
- 3<sup>3</sup>.16. სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის შეფასება შეიძლება ამ მუხლის მე-9 ან მე-17 პუნქტით განსაზღვრული სისტემით.
- 3<sup>3</sup>.17. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების შეფასების სისტემა:
- ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
  - ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
  - გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
  - დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
  - ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
  - ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;
  - ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.
- 3<sup>3</sup>.18. ამ მუხლის მე-17 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, ხოლო მე-17 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.
- 3<sup>3</sup>.19. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისათვის ამ მუხლის მე-9 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით ან ამ მუხლის მე-17 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების

შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო ამ მუხლის მე-9 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით ან ამ მუხლის მე-17 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში, აგრეთვე განმეორებით ამ მუხლის მე-9 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით ან ამ მუხლის მე-17 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

**3<sup>3</sup>.20.** შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდები ტარდება საუნივერსიტეტო ტესტირების ცენტრის მეშვეობით. (26.03.2018 №01-05-04/89)

**3<sup>3</sup>.21.** სტუდენტს უფლება აქვს ერთი სემესტრის განმავლობაში ყოველ სასწავლო კურსში:

- შუასემესტრულ გამოცდაზე გავიდეს, როგორც წესი, მხოლოდ ერთხელ, დადგენილ დროს;
- სასესიო კვირების განმავლობაში დასკვნით გამოცდაზე გავიდეს მხოლოდ ერთხელ, დადგენილ დროს. (26.03.2018 №01-05-04/89)

**3<sup>3</sup>.22.** დეკანატი ვალდებულია სასწავლო სემესტრის დაწყებამდე 1 კვირით ადრე შეადგინოს შუასემესტრული ტესტირების ცხრილი დღეების, საათების და აუდიტორიების მითითებით. (26.03.2018 №01-05-04/89)

**3<sup>3</sup>.23.** დეკანატი ვალდებულია საგამოცდო სესიის დაწყებამდე სამი კვირით ადრე, სასწავლო კურსების წამყვან პროფესორებთან შეთანხმებით, შეადგინოს დასკვნითი და დამატებითი გამოცდების ცხრილი დღეების, საათების და აუდიტორიების მითითებით. (26.03.2018 №01-05-04/89)

#### **„3<sup>4</sup>. გამოცდის შედეგების გასაჩივრება**

**3<sup>4</sup>.1.** სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება გამოცდაზე მიღებულ შეფასებას, უფლებამოსილია, შედეგის ოფიციალური გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს მეორე დღისა, დასაბუთებული საჩივრით მიმართოს დეკანს და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა.

**3<sup>4</sup>.2.** საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს დეკანის გადაწყვეტილების საფუძველზე შექმნილი დარგობრივი კომისია.

**3<sup>4</sup>.3.** იმ შემთხვევაში, თუ საკითხის განხილვისას გამოიკვეთა სტუ-ს ეთიკის კოდექსითა და დისციპლინარული პასუხისმგებლობით დადგენილი ნორმების დარღვევის ნიშნები, საკითხი შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცემა შესაბამის დისციპლინარული წარმოების განმახორციელებელ ორგანოს.“ (26.06.2018.№01-05-04/167)

#### **4. სტუდენტის საფინანსო და სასწავლო ხელშეკრულებები**

**4.1.** სტუდენტი ვალდებულია დეკანატში გაიაროს ადმინისტრაციული (საფინანსო ხელშეკრულების გაფორმება და/ან სწავლების საფასურის გადახდა) და აკადემიური (სასწავლო ხელშეკრულების გაფორმება) რეგისტრაცია; საფინანსო ხელშეკრულება ფორმდება სწავლების პირველ წელს – ჩარიცხვისას, ხოლო მობილობის ან აღდგენის წესით ჩარიცხვისას, უნივერსიტეტის ფარგლებში სპეციალობის შეცვლისას, სტუდენტის სტატუსის გაგრძელებისას ან სასწავლო კურსის ხელახლა გავლისას – სასწავლო წლის/სემესტრის დაწყებამდე, როგორც წესი, არანაკლებ ორი კვირით ადრე. (24.02.2012 №607) (ძალაში შევიდეს 2012-2013 სასწავლო წლის დასაწყისიდან)

**4.2.** საფინანსო ხელშეკრულება ფორმდება სტუდენტსა და სტუ-ს რექტორს შორის, სასწავლო ხელშეკრულება – სტუდენტსა და დეკანს შორის და შეიცავს სტუდენტის მიერ სასწავლო წლის (მობილობის ან აღდგენის წესით მეორე სემესტრის წინ ჩარიცხვისას – აღნიშნული სემესტრის) განმავლობაში გასავლელი სასწავლო კურსების ნუსხას (დანართი1). სასწავლო ხელშეკრულება წარმოადგენს საფინანსო ხელშეკრულების საფუძველს. (24.02.2012 № 607) (ძალაში შევიდეს 2012-2013 სასწავლო წლის დასაწყისიდან)

- 4.3. შევსებულ საფინანსო და სასწავლო ხელშეკრულებებს ხელს აწერს უშუალოდ სტუდენტი; სტუდენტის არასრულწლოვანებისას საფინანსო ხელშეკრულებას ხელს აწერს ასევე მისი მშობელი. (30.07.2010 №301)
- 4.4. ხელშეკრულებები ფორმდება ორ ეგზემპლარად – ერთი რჩება სტუდენტთან, ხოლო მეორე ინახება დეკანატში სტუდენტის პირად საქმეში. დეკანის მიერ დამოწმებული საფინანსო ხელშეკრულების ასლი გადაეცემა უნივერსიტეტის ადრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტს. სტუდენტმა სწავლების საფასური უნდა გადაიხადოს საფინანსო ხელშეკრულებაში მითითებულ ვადაში. (24.02.2012 № 607) (ძალაში შევიდეს 2012-2013 სასწავლო წლის დასაწყისიდან)
- 4.5. სტუ-ში სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს; უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 კრედიტს. (17.04.2014 № 1127)
- 4.6. სასწავლო კურსის ხელახლა გავლა შეიძლება შესაბამისი კურიკულუმით გათვალისწინებულ სემესტრში; გამონაკლისი შეიძლება დაშვებულ იქნეს სწავლების დეპარტამენტთან შეთანხმებით. (25.05.2016 № 2021)
- 4.7. სასწავლო ხელშეკრულებაში უნდა მიეთითოს:
- სტუდენტის გვარი, სახელი, მამის სახელი;
  - პირადი ნომერი;
  - აკადემიური წელი;
  - სწავლების წელი;
  - საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (აღნიშნული არ მიეთითება დიპლომირებული სპეციალისტის და ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების პირველ წელს).
  - სასწავლო კურსების დასახელება და შესაბამისი კრედიტების რაოდენობა.
- 4.8. სასწავლო ხელშეკრულებაში ჯერ მიეთითება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო კურსები, შემდეგ – სტუდენტის მიერ არჩეული სასწავლო კურსები და ბოლოს – დამატებით (ხელახლა) გასავლელი სასწავლო კურსები.
- 4.9. თუ სტუდენტს დამატებით (ხელახლა) აქვს გასავლელი სასწავლო კურსები, მან სასწავლო ხელშეკრულების გაფორმების წინ დეკანატში უნდა მიიღოს კონსულტაცია; კონსულტაციის მიზანია დამატებით (ხელახლა) გასავლელ სასწავლო კურსებს შორის კურიკულუმის შესაბამისად წინმსწრები კურსების, აგრეთვე მათ გასავლელად ოპტიმალური პერიოდების შერჩევა.
- 4.10. სტუდენტს უფლება აქვს სემესტრის დაწყებამდე, როგორც წესი, არანაკლებ ორი კვირით ადრე გააფორმოს დამატებითი სასწავლო და შესაბამისი საფინანსო ხელშეკრულებები. დამატებით სასწავლო ხელშეკრულებაში მიეთითება სასწავლო კურსები, რომელთა ხელახლა გავლის საჭიროება შეიქმნა. (24.02.2012 № 607) (ძალაში შევიდეს 2012-2013 სასწავლო წლის დასაწყისიდან)
- 4.11. სტუდენტმა სასწავლო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ უნდა გაიაროს ხელშეკრულებაში (მათ შორის დამატებითში) მითითებული ყველა სასწავლო კურსი.
- 4.12. სასწავლო ხელშეკრულების შეცვლა სემესტრის განმავლობაში დაუშვებელია.
- 4.13. საფინანსო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ელექტრონულ უწყისებში გაფრთხილების ნიშნად სტუდენტის გვარსა და სახელს შეეცვლება ფერი, ხოლო ვალდებულების წარმოქმნიდან 6 კვირის (დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტს – 2 კვირის) განმავლობაში ფინანსური დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში მას შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი. (25.05.2016 № 2021) (ძალაში შევიდეს 2016-2017 სასწავლო წლის დასაწყისიდან)
- 4.14. გაუქმებულია. (13.11.2015 №1811)

## 5. სტუდენტის მიერ კრედიტების დაგროვება.

- 5.1. სტუდენტის მიერ კრედიტების მიღება/დაგროვება შესაძლებელია მხოლოდ მის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.
- 5.2. სტუდენტთა მიღწევების შეფასება განისაზღვრება 3.3 პუნქტის მიხედვით.
- 5.3. F - უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია სასწავლო კურსი ხელახლა გაიაროს მომდევნო სასწავლო წლის/წლების განმავლობაში.
- 5.4. სასწავლო კურსის ხელახლა გავლისათვის სტუდენტმა სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა:
  - შესაბამისი განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას;
  - გააფორმოს დამატებითი სასწავლო და საფინანსო ხელშეკრულებები;
  - გადაიხადოს სასწავლო კურსის გავლის საფასური. (21.05.2013 №926)
- 5.5. სასწავლო კურსის გავლის საფასური გამოითვლება ფორმულით:

$$Q = \frac{S}{60} \times n,$$

სადაც  $S$  არის იმ საგანმანათლებლო პროგრამის ერთი სასწავლო წლის სწავლების საფასური, რომელზეც სწავლობს სტუდენტი,  $n$  – სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა. (27.05.2010 №256)

- 5.6. აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს 5.4 პუნქტის პირობების შესრულების შემდეგ ერთი და იგივე სასწავლო კურსი გაიაროს რამდენჯერმე საგანმანათლებლო პროგრამის საანგარიშო (გეგმური) ვადის ამოწურვამდე; სტუდენტს უფლება აქვს, რომელიმე სასწავლო კურსის (საგნის) საბოლოო დადებითი შედეგის გაუმჯობესების მიზნით, სწავლების დეპარტამენტის თანხმობის და 5.4 პუნქტის პირობების შესრულების შემდეგ, დეკანის ბრძანებით, საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების გეგმურ ვადაში, ხელახლა, მხოლოდ ერთხელ გაიაროს სასწავლო კურსი. (27.05.2010 №256)
- 5.7. საგანმანათლებლო პროგრამის საანგარიშო (გეგმური) ვადის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს აღნიშნული პროგრამის დასასრულებლად, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით, სწავლა გააგრძელოს დამატებითი სემესტრების განმავლობაში: ბაკალავრიატში – არა უმეტეს 4 სემესტრისა, სწავლების დანარჩენ საფეხურებზე (დიპლომირებული სპეციალისტის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე) – არა უმეტეს 2 სემესტრისა.

თუ მაგისტრანტი ან დოქტორანტი დასრულებულ სამაგისტრო/სადისერტაციო ნაშრომს წარადგენს დადგენილ ვადაზე გვიან, მაგრამ 1.3 (ან 5.7) პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე, მას შეიძლება გაუგრძელდეს სტუდენტის სტატუსი ნაშრომის დაცვის პროცედურებისათვის საჭირო ხანგრძლივობით, მათ შორის, ამ ინსტრუქციის 3<sup>3</sup>.18 და 3<sup>3</sup>.19 პუნქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით, სწავლის საფასურის დამატებით გადახდის გარეშე.

თუ გეგმური ვადის ამოწურვისას სტუდენტის აკადემიური დავალიანება ბაკალავრიატში აღემატება 120 კრედიტს, ხოლო სწავლების დანარჩენ საფეხურებზე – 60 კრედიტს, სტუდენტს უფლება აქვს ფაკულტეტის/უნივერსიტეტის ფარგლებში მხოლოდ ერთხელ შეიცვალოს სპეციალობა. დამატებით სემესტრში/სემესტრებში სწავლის გაგრძელების, სამაგისტრო/სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცედურებისათვის საჭირო ვადით სტუდენტის სტატუსის გაგრძელების ან სპეციალობის შეცვლის თაობაზე მან სწავლის დამთავრების მომდევნო სემესტრის დაწყებამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე განცხადებით უნდა მიმართოს რექტორს. შესაბამისი ბრძანება გამოიცემა სტუდენტთან ფინანსური და სასწავლო ხელშეკრულებების საფუძველზე. სწავლების დამატებით სემესტრში/სემესტრებში გასავლელი სასწავლო კურსების შესაბამისი კრედიტების მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება 4.5 პუნქტის მიხედვით. სტუდენტისთვის

- სწავლების დამატებით სემესტრში/სემესტრებში გასავლელი სასწავლო კურსების შესაბამისი ღირებულება განისაზღვრება 5.5 პუნქტის თანახმად, ბოლო სასწავლო წლის სწავლის საფასურის მიხედვით, ხოლო სპეციალობის შეცვლისას სწავლების წლიური საფასური და, შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში დამატებით გასავლელი სასწავლო კურსების ღირებულება იქნება იგივე, რაც დადგენილია მიმდები ფაკულტეტის სწავლების იგივე საფეხურის და წლის სტუდენტებისათვის. (11.01.2017 №2282)
- 5.8. სტუდენტს, რომელიც დამატებით სემესტრებში ვერ დაასრულებს პროგრამას, დეკანის წარდგინებით ერთი თვის ვადაში შეუწყდება სტუდენტის სტატუსი და ის დიპლომის ნაცვლად მიიღებს შესაბამის ცნობას. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანების გამოსვლიდან თორმეტი თვის განმავლობაში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის უფლებით. (18.09.2015 №1698)
- 5.9. სტუდენტის მიერ დაგროვებული კრედიტების რაოდენობა აღიწერება სტუდენტის სასწავლო ბარათში (დანართი 2), რომელიც ინახება მის პირად საქმეში.
- 5.10. სტუდენტის სასწავლო ბარათში თითოეულ სასწავლო კურსში დაგროვებული კრედიტებისა და მიღებული შეფასებების შესახებ ინფორმაცია ჩაიწერება სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორის მიერ წარმოდგენილი სტუდენტთა შეფასების უწყისის მიხედვით.
- 5.11. თუ სტუდენტმა დაასრულა (სრულად დაამთავრა) საგანმანათლებლო პროგრამა და შეჩერებული არ აქვს სტუდენტის სტატუსი, კალენდარული წლის ბოლომდე მას უნდა მიენიჭოს შესაბამისი კვალიფიკაცია და მიეცეს დიპლომი დიპლომის დანართთან ერთად. კვალიფიკაციას ანიჭებს: ბაკალავრიატსა და დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამაზე – საფაკულტეტო ბრძანებით შექმნილი საკვალიფიკაციო კომისია, მაგისტრატურაში – რექტორის ბრძანებით შექმნილი საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვის საგამოცდო კომისია; დოქტორანტურაში – სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით შექმნილი სადისერტაციო კოლეგია. სწავლების საფეხურის და სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტს მიეცემა დიპლომირებული სპეციალისტის, დიპლომირებული სპეციალისტის წარჩინების, ბაკალავრის, ბაკალავრის წარჩინების, მაგისტრის, მაგისტრის წარჩინების ან დოქტორის დიპლომი. (16.12.2011 № 576)
- 5.12. კვალიფიკაციის მისანიჭებლად და დიპლომის მისაღებად სტუდენტს დაგროვებული უნდა ჰქონდეს 1.4 პუნქტით განსაზღვრული რაოდენობის კრედიტები.
- 5.13. წარჩინების დიპლომის მისაღებად ყველა საგანში მიღებული შეფასებების საშუალო შეწონილი სიდიდე (მაგისტრატურაში – აგრეთვე საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვის შეფასება) უნდა იყოს 91 და მეტი ქულა.
- 5.14. საგანმანათლებლო პროგრამის საანგარიშო (გეგმური) ვადის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს, რომელიც 5.7 პუნქტში მითითებულ ვადაში განცხადებით არ მიმართავს რექტორს დამატებით სემესტრში/სემესტრებში სწავლის გაგრძელების ან სხვა სპეციალობაზე გადასვლის თაობაზე, აღნიშნული ვადის ამოწურვიდან ერთი თვის ვადაში დეკანის წარდგინებით შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი. აღნიშნულმა პირმა სტატუსის აღდგენის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამის დასასრულებლად ან სპეციალობის შესაცვლელად განცხადებით უნდა მიმართოს რექტორს მობილობის ვადებში, სემესტრის დაწყებამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე. (24.02.2012 № 607) (ძალაში შევიდეს 2012-2013 სასწავლო წლის დასაწყისიდან)
- 5.14<sup>1</sup>. პირს, რომელსაც ამ ინსტრუქციის 5.7 პუნქტით განსაზღვრული წესით გაუგრძელდება სტუდენტის სტატუსი ან 5.14 პუნქტით განსაზღვრული წესით აღუდგება სტუდენტის სტატუსი, გასავლელი სასწავლო კურსების შესწავლის წინაპირობების დაცვისა და მოცულობის (კრედიტების რაოდენობის) საფუძველზე განესაზღვრება სწავლების დამატებითი სემესტრების რაოდენობა; ბრძანებაში

მიეთითება აგრეთვე სწავლების სემესტრების რიგითი ნომრები (მაგალითად, ბაკალავრიატის სტუდენტს შეიძლება მიეცეს უფლება სწავლა გააგრძელოს სწავლების მეცხრე, მეცხრე-მეათე, მეცხრე-მეთერთმეტე ან მეცხრე-მეთორმეტე სემესტრებში). (24.02.2012 № 607) (ძალაში შევიდეს 2012-2013 სასწავლო წლის დასაწყისიდან)

- 5.14<sup>II</sup>. პირი, რომელსაც ამ ინსტრუქციის 5.7 პუნქტით განსაზღვრული წესით გაუგრძელდა სტუდენტის სტატუსი ან 5.14 პუნქტით განსაზღვრული წესით აღუდგა სტუდენტის სტატუსი, ვალდებულია აკადემიური დავალიანება დაფაროს უახლოეს დამატებით სემესტრში/სემესტრებში. ამისთვის ფაკულტეტის დეკანატი ვალდებულია, გასავლელი სასწავლო კურსების შესწავლის წინაპირობების დაცვით და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრული კრედიტების მაქსიმალური რაოდენობის გათვალისწინებით (სასწავლო წელს – არაუმეტეს 75 კრედიტისა), მისთვის შეადგინოს დარჩენილი საგნების გავლის ოპტიმალური გრაფიკი; შესაბამისად, სტუდენტს განესაზღვრება მინიმალური რაოდენობის დამატებითი სემესტრები და ამ სემესტრებში გასავლელი საგნების ნუსხა (კრედიტების რაოდენობა). დეკანატი შეადგენს აგრეთვე შესაბამისი სასწავლო და საფინანსო ხელშეკრულებების პროექტებს. შესაბამის ბრძანებაში მიეთითება აგრეთვე სწავლების სემესტრების რიგითი ნომრები (მაგალითად, ბაკალავრიატის სტუდენტს შეიძლება მიეცეს უფლება სწავლა გააგრძელოს მეცხრე, მეცხრე-მეათე, მეცხრე-მეთერთმეტე, ან მეცხრე-მეთორმეტე სემესტრებში). დამატებით სემესტრებში სასწავლო კურსის გავლა შეიძლება, როგორც წესი, მხოლოდ ერთხელ. (21.01.2017 №2294) (ძალაში შევიდეს 2017-2018 სასწავლო წლის დასაწყისიდან)
- 5.14<sup>2</sup>. სტუდენტის მიერ პროგრამის შეცვლა, სტატუსის გაგრძელება, სასწავლო კურსის ხელახლა გავლა, სტუდენტის სტატუსის აღდგენა, აგრეთვე კურსდამთავრებულისათვის დიპლომის ან დიპლომის დანართის გაცემა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ფინანსური დავალიანების დაფარვის შემდეგ. (26.03.2018 №01-05-04/89)
- 5.15. დოქტორანტის მიერ დისერტაციის დაგვიანებით წარდგენასთან ან წარუდგენლობასთან და დისერტაციის დაცვაზე უარყოფითი შეფასების მიღებასთან დაკავშირებით სტატუსის გაგრძელების, შეჩერების და შეწყვეტის, აგრეთვე სტატუსის აღდგენის საკითხები განხილულია დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს დებულებაში. (01.06.20112 №677)
- 5.16. გაუქმებულია. (01.06.20112 №677)
- 5.17. გაუქმებულია. (01.06.20112 №677)
- 5.18. გაუქმებულია. (01.06.20112 №677)
- 5.19. გაუქმებულია. (01.06.20112 №677)
- 5.20. გაუქმებულია. (01.06.20112 №677)

## 6. სტუდენტთა შეფასების უწყისი.

- 6.1. სტუდენტთა შეფასების უწყისი (შემდგომში – უწყისი) არის თითოეულ სასწავლო კურსში (საგანში) ერთი აკადემიური ჯგუფის სტუდენტების მიღწევების (ყოველკვირეული შეფასებები, შუალედური გამოცდები (ტესტირებები), დასკვნითი და დამატებითი გამოცდა) ნაკრები (დანართი 3). სწავლების სხვადასხვა საფეხურისა და სასწავლო კურსისათვის/კომპონენტისათვის უწყისს შეიძლება ჰქონდეს მე-3 დანართისაგან განსხვავებული ფორმა. ეს უკანასკნელი განისაზღვრება რექტორის ბრძანებით სასწავლო სემესტრის ჩატარების შესახებ. (გაუქმდეს 2018-2019 სასწავლო წლიდან 26.03.2018 №01-05-04/89)
- 6.1<sup>1</sup>. სტუდენტთა შეფასების უწყისი (შემდგომში – უწყისი) არის თითოეულ სასწავლო

კურსში (საგანში)/სამეცნიერო კომპონენტში ერთი აკადემიური ჯგუფის სტუდენტების მიღწევების (შუალედური შეფასებები, დასკვნითი და დამატებითი გამოცდა) ნაკრები (დანართი 3<sup>1</sup>). სწავლების სხვადასხვა საფეხურისა და სასწავლო კურსისათვის/სამეცნიერო კომპონენტისათვის უწყისს შეიძლება ჰქონდეს მე-3<sup>1</sup> დანართისაგან განსხვავებული ფორმა. ეს უკანასკნელი განისაზღვრება რექტორის ბრძანებით სასწავლო სემესტრის ჩატარების შესახებ. (ამოქმედდეს 2018-2019 სასწავლო წლიდან 26.03.2018 №01-05-04/89)

- 6.2. უწყისის ელექტრონული ვერსია (შემდგომში – ელექტრონული უწყისი), რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, უნდა შეივსოს 6.5 პუნქტით განსაზღვრულ ვადებში სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორის მიერ; დაუშვებელია უწყისის სხვა პირის მიერ შევსება. ელექტრონულ უწყისში ყოველკვირეული შეფასებების, შუალედური გამოცდების (ტესტირებების), დასკვნითი და დამატებითი გამოცდების ფანჯრები გაიხსნება და დაიხურება სასწავლო სემესტრის ჩატარების შესახებ რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში. ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამებზე მყოფი სტუდენტებისათვის ამავე ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში ელექტრონულ უწყისში გაიხსნება პირველი, მეორე და მესამე შუალედური გამოცდის (ტესტირების), აგრეთვე დასკვნითი/დამატებითი გამოცდების უჯრები. (გაუქმდეს 2018-2019 სასწავლო წლიდან 26.03.2018 №01-05-04/89)
- 6.2<sup>1</sup>. უწყისის ელექტრონული ვერსია (შემდგომში – ელექტრონული უწყისი), რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, უნდა შეივსოს 6.5<sup>1</sup> პუნქტით განსაზღვრულ ვადებში სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორის მიერ; დაუშვებელია უწყისის სხვა პირის მიერ შევსება. ელექტრონულ უწყისში შუალედური შეფასებების, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების ფანჯრები გაიხსნება და დაიხურება სასწავლო სემესტრის ჩატარების შესახებ რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში. ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამებზე მყოფი სტუდენტებისათვის ამავე ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში ელექტრონულ უწყისში გაიხსნება შესაბამისი გამოცდების უჯრები. (ამოქმედდეს 2018-2019 სასწავლო წლიდან 26.03.2018 №01-05-04/89)
- 6.3. უწყისში ინფორმაციის შეტანისას სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი უნდა დაეყრდნოს სასწავლო კურსის ფორმატით გათვალისწინებული სემინარის, პრაქტიკის, საკურსო სამუშაოს/პროექტის ან სხვა სახის მეცადინეობების წამყვანი მასწავლებლების მონაცემებს.
- 6.4. უწყისში მოყვანილ ინფორმაციაზე სრულ პასუხისმგებლობას იღებს სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი.
- 6.5. სწავლების ყველა საფეხურის სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი ვალდებულია სტუდენტთა ყოველკვირეული შეფასების, შუალედური გამოცდის (ტესტირების) შედეგები მომდევნო კვირის სამშაბათს 17 საათამდე, ხოლო დასკვნითი ან/და დამატებითი გამოცდის შედეგები გამოცდის ჩატარების ბოლო ვადის მომდევნო ორი სამუშაო დღის განმავლობაში, 17 საათამდე შეიტანოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულ სტუდენტთა შეფასების ელექტრონულ უწყისში; დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ვალდებულია აგრეთვე თემატური სემინარის შედეგები შეიტანოს შესაბამის ელექტრონულ უწყისში სემინარის ჩატარებიდან მომდევნო 2 სამუშაო დღის განმავლობაში, 17 საათამდე; სემესტრის ბოლოს, არაუგვიანეს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული ვადისა, ხოლო შეფასებების კორექტირებისას (თუ კორექტირებამ გამოიწვია საბოლოო შეფასების ცვლილება) – კორექტირების განხორციელებიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა, წამყვანი პროფესორი აკადემიურ დეპარტამენტში ელექტრონული უწყისის ამონაბეჭდზე (2 ეგზ.) ხელმოწერით დაადასტურებს მონაცემებს. დეპარტამენტის სპეციალისტი მოახდენს უწყისის რეგისტრაციას, დეპარტამენტის უფროსის მიერ დამოწმებული უწყისის ერთ ეგზემპლარს ჩააკერებს შესაბამის საქალაქო დეპარტამენტში, ხოლო მეორე ეგზემპლარს გადასცემს

დეკანატს არსებული წესის მიხედვით, სადაც მოხდება საბოლოო რეგისტრაცია და მონაცემების შესაბამის ჟურნალებში (პასპორტებში) გადატანა, აგრეთვე დეკანატის ავტომატიზებული მართვის სისტემაში ასახვა. (გაუქმდეს 2018-2019 სასწავლო წლიდან 26.03.2018 №01-05-04/89)

6.5<sup>1</sup>. სწავლების ყველა საფეხურის სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი ვალდებულია სტუდენტთა შუალედური შეფასების შედეგები მომდევნო კვირის სამშაბათს 17 საათამდე, ხოლო დასკვნითი ან/და დამატებითი გამოცდის შედეგები გამოცდის ჩატარების ბოლო ვადის მომდევნო ორი სამუშაო დღის განმავლობაში, 17 საათამდე შეიტანოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულ სტუდენტთა შეფასების ელექტრონულ უწყისში; დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ვალდებულია აგრეთვე თემატური სემინარის შედეგები შეიტანოს შესაბამის ელექტრონულ უწყისში სემინარის ჩატარებიდან მომდევნო 2 სამუშაო დღის განმავლობაში, 17 საათამდე; სემესტრის ბოლოს, არაუგვიანეს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული ვადისა, ხოლო შეფასებების კორექტირებისას (თუ კორექტირებამ გამოიწვია საბოლოო შეფასების ცვლილება) – კორექტირების განხორციელებიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა, წამყვანი პროფესორი აკადემიურ დეპარტამენტში ელექტრონული უწყისის ამონაბეჭდზე (2 ეგზ.) ხელმოწერით დაადასტურებს მონაცემებს. დეპარტამენტის სპეციალისტი მოახდენს უწყისის რეგისტრაციას, დეპარტამენტის უფროსის მიერ დამოწმებული უწყისის ერთ ეგზემპლარს ჩააკერებს შესაბამის საქაღალდეში, ხოლო მეორე ეგზემპლარს გადასცემს დეკანატს არსებული წესის მიხედვით, სადაც მოხდება საბოლოო რეგისტრაცია და მონაცემების შესაბამის ჟურნალებში (პასპორტებში) გადატანა, აგრეთვე დეკანატის ავტომატიზებული მართვის სისტემაში ასახვა. (ამოქმედდეს 2018-2019 სასწავლო წლიდან 26.03.2018 №01-05-04/89)

6.6. ზოგადად უწყისში უნდა აისახოს:

6.6.1. უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის დასახელება;

6.6.2. აკადემიური ჯგუფის ნომერი;

6.6.3. სწავლების წელი და სემესტრი;

6.6.4. აკადემიური წელი;

6.6.5. სწავლების საფეხური;

6.6.6. სასწავლო კურსის/კომპონენტის დასახელება;

6.6.7. წამყვანი პროფესორის სახელი და გვარი;

6.6.8. სასწავლო კურსის/კომპონენტის შესაბამისი კრედიტების რაოდენობა;

6.6.9. სწავლების (მეცადინეობების) ფორმა(ები) და კვირეული აკადემიური დატვირთვა (საათების რაოდენობა);

6.6.10. სტუდენტის გვარი და სახელი;

6.6.11. კვირის ნომერი სემესტრის დაწყებიდან;

6.6.12. ყოველკვირეული შეფასებების, შუალედური გამოცდების (ტესტირებების) და დასკვნითი/დამატებითი გამოცდის მაქსიმალური ქულების რაოდენობა; (გაუქმდეს 2018-2019 სასწავლო წლიდან 26.03.2018 №01-05-04/89)

6.6.12<sup>1</sup>. შუალედური შეფასებების და დასკვნითი/დამატებითი გამოცდის მაქსიმალური ქულების რაოდენობა; (ამოქმედდეს 2018-2019 სასწავლო წლიდან 26.03.2018 №01-05-04/89)

6.6.13. სტუდენტების მიერ ფაქტობრივად მიღებული/დაგროვებული ქულების რაოდენობა;

6.6.13. წამყვანი პროფესორის ხელმოწერა;

6.6.14. აკადემიურ დეპარტამენტსა და დეკანატში რეგისტრაციის აღნიშვნები და პასუხისმგებელი პირების ხელმოწერები. (21.05.2013 №926)

6.7. ელექტრონულ უწყისში შეფასებების კორექტირების თაობაზე პროფესორის დასაბუთებული მოხსენებითი ბარათების წარმოდგენა, როგორც წესი, უნდა დასრულდეს მიმდინარე სემესტრში, შეფასებიდან მომდევნო ორი კვირის



განმავლობაში. (21.05.2013 №926) (ძალაში შევიდეს 2013-2014 სასწავლო წლის დასაწყისიდან)

## 7. სააუდიტორიო ფონდის დანომვრის წესი (17.04.2014 № 1127)

- 7.1. სტუ-ში სააუდიტორიო ფონდი (აუდიტორიები, ლაბორატორიები, კაბინეტები და სხვ., შემდგომში – აუდიტორიები) ყველა სასწავლო კორპუსში ინომრება ერთიანი წესით.
- 7.2. აუდიტორიის ნომერი თანამიმდევრობით შეიცავს ქვემოთ ჩამოთვლილ რეკვიზიტებს:
  - კორპუსის ნომერი (ორნიშნა რიცხვი);
  - ფლიგელის ნომერი (ლათინური ანბანის ასომთავრული ასო), ხოლო ფლიგელის არარსებობისას – ტირე;
  - სართულის ნომერი (ერთნიშნა რიცხვი);
  - ოთახის ნომერი (ორნიშნა რიცხვი);
  - წერტილი (დამატებითი ნომრის / ინდექსის არსებობის შემთხვევაში);
  - დამატებითი ნომერი / ინდექსი (ერთნიშნა რიცხვი).
- 7.3. დამატებითი ნომერი / ინდექსი შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევაში, როდესაც ორ ან მეტ აუდიტორიას აქვს საერთო შესასვლელი, ან რომელიმე აუდიტორიაში შესვლა შესაძლებელია მხოლოდ სხვა აუდიტორიის გავლით; დამატებითი ნომერი / ინდექსი შეიძლება გამოყენებული იქნეს აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც აუდიტორიის ზომის და საგნის თავისებურებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია მასში ერთდროულად ერთზე მეტი ჯგუფის/პედაგოგის ყოფნა.

საფუძველი: “საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ”;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანება “უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ”;

”საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №106 ბრძანება “უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ”.

### *საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტი*

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 2010 წლის 22 იანვარს, დადგენილება №198, ცვლილებები შეტანილია დადგენილებებით: 27.05.2010 №256, 30.07.2010 №301, 16.12.2011 №576, 24.02.2012 №607, 01.06.2012 №677, 21.05.2013 №926, 17.04.2014 № 1127, 18.09.2015 №1698, 24.02.2016 №1941, 25.05.2016 №2021, 07.10.2016 №2152, 11.01.2017 №2282, 21.01.2017 №2294, 27.12.2017 №2691, 26.03.2018 №01-05-04/89, 26.06.2018 №01-05-04/167.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ფაკულტეტი

სასწავლო ხელშეკრულება

- ❖ შევსებული უნდა იქნეს სტუდენტის მიერ;
- ❖ ჩაიბეჭდოს ან შეივსოს გარკვევით;
- ❖ სასწავლო ხელშეკრულება დგება ორ ეგზემპლარად. ერთი პირი რჩება სტუდენტთან, მეორე პირი – დეკანატში და ინახება სტუდენტის პირად საქმეში.

სტუდენტის პირადი ნომერი

**სტუდენტი**

სახელი	გვარი	მამის სახელი
აკადემიური ჯგუფი №	აკადემიური წელი	-
სწავლების წელი: <input type="checkbox"/> პირველი <input type="checkbox"/> მეორე <input type="checkbox"/> მესამე <input type="checkbox"/> მეოთხე <input type="checkbox"/> დამატებითი		
საგანმანათლებლო პროგრამა: <input type="checkbox"/> პროფესიული უმაღლესი <input type="checkbox"/> ბაკალავრიატი <input type="checkbox"/> მაგისტრატურა <input type="checkbox"/> დოქტორანტურა		
პროგრამის დასახელება		

არჩეული სასწავლო კურსები		
სასწავლო კურსის კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა
<b>სავალდებულო სასწავლო კურსები</b>		
<b>არჩევითი სასწავლო კურსები</b>		
<b>დამატებით (ხელახლა) გასავლელი სასწავლო კურსები</b>		კრედიტების ჯამი
სულ კრედიტების ჯამი		

სტუდენტი			ფაკულტეტის დეკანი		
გვარი და სახელი	ხელმოწერა	თარიღი	გვარი და სახელი	ხელმოწერა	თარიღი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ფაკულტეტი

სტუდენტის სასწავლო ბარათი

- ❖ ჩაიბეჭდოს ან შეივსოს გარკვევით
- ❖ ივსება დეკანატში და ინახება სტუდენტის პირად საქმეში
- ❖ იბეჭდება ერთ ფურცელზე, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება ფურცლის უკანა მხარე

სტუდენტის პირადი ნომერი

სტუდენტი

სახელი	გვარი	მამის სახელი

საგანმანათლებლო პროგრამა:  პროფესიული უმაღლესი  ბაკალავრიატი  მაგისტრატურა  დოქტორანტურა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

სასწავლო კურსის კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა	ქულა
	I სემესტრი		
	კრედიტების ჯამი		-
	I სემესტრის საშუალოდ შეწონილი ქულა	-	
	II სემესტრი		
	კრედიტების ჯამი		-
	II სემესტრის საშუალოდ შეწონილი ქულა	-	
	კრედიტების საერთო ჯამი		-
	საშუალოდ შეწონილი ქულა	-	
	საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვის შეფასება	-	

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ფაკულტეტის

№ . . . . აკადემიური ჯგუფის სტუდენტთა შეფასების ელექტრონული უწყისი №

სწავლების წელი:  სემესტრი:  აკადემიური წელი:

სწავლების საფეხური:  პროფესიული უმაღლესი განათლება  ბაკალავრიატი  მაგისტრატურა  დოქტორანტურა

სასწავლო კურსის დასახელება:

წამყვანი პროფესორი

ECTS კრედიტი:

სწავლების ფორმა და კვირული დატვირთვა, სთ :

ლექცია:  პრაქტიკული:  ლაბორატორიული:  სხვა:   
 პრაქტიკა:  სემინარი:  საკურსო პროექტი\ სამუშაო:

№	გვარი, სახელი	კვირის №																	საბოლოო შეფასება, ქულა: მაქსიმალური/გამსვლელი			
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17		18, 19	20	
		შუალედური შეფასებები, ქულა																		გამოცდა, ქულა		
		ყოველკვირეული						I შუალედური გამოცდა (ტესტირება)	ყოველკვირეული						II შუალედური გამოცდა (ტესტირება)	სულ შუალედური შეფასებები, ქულა	დასკვნითი	დამატებითი				
		2	2	2	2	2	2	20	2	2	2	2	2	2	20	2	2	2	70	30	30	100/51
1																						
2																						
<b>შენიშვნა</b>																						

სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი	ინიც. და გვარი	ხელმოწერა	თარიღი	ფაკულტეტის დეკანი
დეპარტამენტის უფროსი	ინიც. და გვარი	ხელმოწერა	რეგ.№ თარიღი	

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ფაკულტეტის

№ . . . . აკადემიური ჯგუფის სტუდენტთა შეფასების ელექტრონული უწყისი №

სწავლების წელი:  სემესტრი:  აკადემიური წელი:

სწავლების საფეხური:  პროფესიული უმაღლესი განათლება  ბაკალავრიატი  მაგისტრატურა  დოქტორანტურა  
 სასწავლო კურსის დასახელება:

წამყვანი პროფესორი

ECTS კრედიტი:  სწავლების ფორმა და კვირეული დატვირთვა, სთ :   
 ლექცია:  პრაქტიკული:  ლაბორატორიული:  სხვა:   
 პრაქტიკა:  სემინარი:  საკურსო პროექტი\სამუშაო:

№	გვარი, სახელი	კვირის №												საბოლოო შეფასება, ქულა	
		შუალედური შეფასებები, ქულა													
		მიმდინარე აქტივობის შეფასება						შუასემესტრული გამოცდა	მიმდინარე აქტივობის შეფასება						სულ შუალედური შეფასებები, ქულა
													დასკვნითი	დამატებითი	
1															
2															
<b>შენიშვნა</b>															

სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი	ინიც. და გვარი	ხელმოწერა	თარიღი	ფაკულტეტის დეკანი
დეპარტამენტის უფროსი	ინიც. და გვარი	ხელმოწერა	რეგ.№ თარიღი	

